სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს

სხდომის ოქმი № 02

სოფელი მისაქციელი 14. 02. 2025 წ.

სამეურვეო საბჭოს სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ.

**სამეურვეო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის დირექტორი ნინო ჩეკურიშვილი.

**სამეურვეო საბჭოს წევრები:**

1. ხათუნა გიგაური - საბაზო საფეხურის მშობელი /სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნანი ძიგოშვილი -პედაგოგი/ სამეურვეო საბჭოს მდივანი;
3. დიანა გიგაური - პედაგოგი;
4. თამარ უთრუგაშვილი -პედაგოგი;
5. ნანა მამულაძე - დაწყებითი საფეხურის მშობელი;
6. თამარ ცირეკიძე - საშუალო საფეხურის მშობელი;

სამეურვეო საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა: თვითმართველობის წევრი მარიამ ჩიღოშვილი.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ხათუნა გიგაურმა სამეურვეო საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

საკითხი N1. სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის პირველ სართულზე არსებული 265,97 კვ.მ. სპორტული დარბაზი, იქ არსებული სკოლის ინვენტარით - 4 გრძელი სპორტული სკამი, ასევე პირველ სართულზე არსებული 32.69 კვ.მ. ფართი იქ არსებული სკოლის ინვენტარით - 4 მაღალი ბუფეტის მაგიდა, 4 სკამი, იჯარის ფორმით გაცემის საკითხის განხილვა.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ხათუნა გიგაურმა კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების დამტკიცების შესახებ.

1. მომხრე – 6
2. მოწინააღმდეგე – 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საკითხი N1. სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის პირველ სართულზე არსებული 265,97 კვ.მ. სპორტული დარბაზი, იქ არსებული სკოლის ინვენტარით - 4 გრძელი სპორტული სკამი, ასევე პირველ სართულზე არსებული 32.69 კვ.მ. ფართი იქ არსებული სკოლის ინვენტარით - 4 მაღალი ბუფეტის მაგიდა, 4 სკამი, იჯარის ფორმით გაცემის საკითხის განხილვა.

მომხსენებელი: სკოლის დირექტორი ნინო ჩეკურიშვილი;

**დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს:** სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის პირველ სართულზე არსებული 265,97 კვ.მ. სპორტული დარბაზი, იქ არსებული სკოლის ინვენტარით - 4 გრძელი სპორტული სკამი (ქართული ხალხური ცეკვის წრე კვირაში სამი დღე -ორშაბათი, სამშაბათი, ხუთშაბათი - 16:00 -18:30) და ასევე პირველ სართულზე არსებული 32.69 კვ.მ. ფართის იქ არსებული სკოლის ინვენტარით (4 მაღალი ბუფეტის მაგიდა, 4სკამი) ბუფეტის ფუნქციონირებისათვის სარგებლობაში მესამე პირთათვის გადაცემის შესახებ. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საჯარო სკოლების მიერ სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის მესამე პირთათვის გადასაცემად ყველაზე მისაღები ფორმა ფართის იჯარით გაცემაა. რისთვისაც უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა. სკოლის განვითარებისა და დამატებითი სახსრების მოსაზიდად კარგი იქნება სკოლის ძირითადი შენობის პირველ სართულზე განთავსებული 265.97კვ.მ სპორტულ დარბაზი, იქ არსებული სკოლის ინვენტარით - 4 გრძელი სპორტული სკამი, ნებადართული საქმიანობების ნუსხით (ქართული ხალხური ცეკვის წრე კვირაში სამი დღე - ორშაბათი, სამშაბათი, ხუთშაბათი 16:00-18:30 საათი) (დანართი N1-ით) გათვალისწინებული საქმიანობების განსახორციელებლად, ასევე პირველ სართულზე არსებული 32,69 კვ.მ ფართი იქ არსებული ინვენტარით - 4 მაღალი ბუფეტის მაგიდა, 4 სკამი, ბუფეტის ფუნქციონირებისათვის იჯარით გაიცეს ერთი წლის ვადით.

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საჯარო სკოლის მიერ სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის მესამე პირთათვის გადაცემის შემთხვევაში, საჭიროა სკოლაში განსაზღვრული იყოს იმ ნებადართული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელება იჯარის ფორმით ფართის სარგებლობაში მიღების შემთხვევაში შეეძლება მოიჯარეს.

**აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა:** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ხათუნა გიგაურმა, მან ბრძანა, რომ ნებადართული საქმიანობების ნუსხის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას იჯარით გასაცემი ფართის სპეციფიკა. სპორტული დარბაზის და თავისუფალი ოთახის იჯარით გაცემის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი დანიშნულების გამიჯვნა. მაგ. მიზანშეწონილია სპორტული დარბაზის იჯარით გაცემა ცეკვის წრის ფუნქციონირებისათვის, ხოლო თავისუფალი ოთახის იჯარით გაცემა ბუფეტის ფუნქციონირებისთვის. მისი აზრით იჯარით ფართის გაცემა გაზრდის სკოლის ბიუჯეტს. საყურადღებოა, რომ იჯარით გასაცემ ფართში განთავსებულია მოძრავი

ქონება (სპორტული დარბაზი - 4 გრძელი სპორტული სკამი, ბუფეტი - 4 მაღალი ბუფეტის მაგიდა, 4 სკამი ). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აუცილებელია უძრავ ქონებასთან ერთად სარგებლობის უფლებით გაიცეს იქ არსებული მოძრავი ქონებაც.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის.

*სამეურვეო საბჭომ დაადგინა:*

სამეურვეო საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია იჯარით გაიცეს ერთი წლის ვადით სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის ძირითადი შენობის პირველ სართულზე განთავსებული 265.97კვ.მ სპორტულ დარბაზი, იქ არსებული სკოლის ინვენტარით - 4 გრძელი სპორტული სკამი, ნებადართული საქმიანობების ნუსხით (ქართული ხალხური ცეკვის წრე კვირაში სამი დღე- ორშაბათი, სამშაბათი, ხუთშაბათი 16:00-18:30 საათი) (დანართი N1-ით) გათვალისწინებული საქმიანობების განსახორციელებლად და ასევე პირველ სართულზე არსებული 32,69 კვ.მ ფართი იქ არსებული ინვენტარით - 4 მაღალი ბუფეტის მაგიდა, 4 სკამი, ბუფეტის ფუნქციონირებისათვის.

მომხრე – 6

მოწინააღმდეგე – 0;

სამეურვეო საბჭოს სხდომის დასრულების დრო: 14:00

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე / ხ. გიგაური /

სამეურვეო საბჭოს მდივანი / ნ.ძიგოშვილი /

წევრები:

/დიანა გიგაური/

/ თამარ უთრუგაშვილი/

/ნანა მამულაძე/

/ თამარ ცირეკიძე /

დანართი N1

# ნებადართული საქმიანობის ნუსხა

(სპორტული დარბაზის იჯარით გაცემის შემთხვევაში)

1. ქართული ხალხური ცეკვის წრე:
   კვირაში სამი დღე: ორშაბათი, სამშაბათი, ხუთშაბათი (16:00 – 18:30 საათი);
2. კალათბურთი:
   კვირაში ორი დღე: პარასკევი (15:00 – 16:00 საათი);შაბათი (11:00 – 12:00);